ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1931 წ. აგვისტოს 10. № 14 ნაწილი პირველი

შინაარსი

სამოქალაქო სამართალი.

157. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 156[1] მუხლის შეცვლის შესახებ.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა.

158. ჩაის ნარგავთა დაცვისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ და გასაღების მიზნით ჩაის შინაურულად დამუშავების აკრძალვის შესახებ.

159. შერეული საიალაღო კომიტეტის მოწყობისა და წანახედით მიყენებული ზარალის გამო აღძრულ დავათა განხილვის წესის თაობაზე გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ივლისის 9-ის დადგენილების შეცვლის შესახებ.

სანადირო და სათევზე მეურნეობა

160. „საქართველოს თევზი"-ის სააქციო საზოგადოების გამგებლობაში საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ყველა სათევზე სანახის გადაცემის თაობაზე გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მე-5 მუხლის შენიშვნის შეცვლის შესახებ.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა

161. „რაიონებში გადაყვანილი მომუშავეების საბინაო-საყოფაცხოვრებო საჭიროებათა უზრუნველყოფის თაობაზე" გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 370 №-ი დადგენილების შეფარდების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

ინსტრუქცია „რაიონებში გადაყვანილი მომუშავეების საბინაო-საყოფაცხოვრებო საჭიროებათა უზრუნველყოფის შესახებ" გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 370 №-ის დადგენილების შეფარდებისათვის.

სახელმწიფო დაზღვევა

162. საქართველოს სსრ-ის სოფლებსა და ქალაქებში 1932 წ. სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის ჩატარების შესახებ.

შრომა

163. სოფლის მეურნეობის სოციალისტურ სექტორში და სამრეწველო რაიონებში მუშაობისათვის კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის მობილიზაციის შესახებ.

სოციალურ-კულტურული წყობილება

164. კულტურული მშენებლობის საბჭოების დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება კულტურული მშენებლობის საბჭოების შესახებ.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება

165. სასოფლო-საზოგადოებრივი სასამართლოების დებულების შეცვლის შესახებ.

166. „ფაბრიკასა, ქარხანასა, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებასა და საწარმოში მომქმედი საწარმოო-საამხანაგო სასამართლოების თაობაზე" გამოცემული დადგენილების მე-5 მუხლისათვის შენიშვნის დამატებისა და მე-16 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

27
+ 25
52

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამოქალაქო სამართალი

157. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 156¹ მუხლის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ (კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 156¹ მუხლი (კან. კრ. 1930 წ. 24 №-ი, მუხ. 341) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„156¹. ნაციონალიზებულ და მუნიციპალიზებულ სახლებში, მათ შორის საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათა მიერ იჯარით აღებულ სახლებში, აგრეთვე კერძო მფლობელობის სახლებში, ამ უკანასკნელებში—კომუნალურ ფონდის ფარგლებში, მშრომელთ უფლება აქვთ გაუცვალონ ერთმანეთს საცხოვრებელი სადგომები ერთ და იმავე ქალაქისა და მისი მიდამოების ფარგლებში; ხოლო, უკეთუ ბინების გაცვლა საჭიროა სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა მუშა-მოსამსახურეებს შორის, მათი მუშაობის ადგილის შეცვლის გამო, ერთ ქალაქში მდებარე ბინა შეიძლება გაცვლილ იქნეს მეორე ქალაქში მდებარე ბინაზე.

სახლის სამოურაოს უფლება აქვს სადაოდ გამოაცხადოს საცხოვრებელი სადგომების გაცვლის უფლება—სასამართლოში სადგომის გაცვლის აკრძალვის თაობაზე სარჩელის შეტანით, უკეთუ: ა) გაცვლას სპეკულატური ხასიათი აქვს და ბ) კომუნალური ფონდის ნორმა შეესებულია (კერძო მფლობელობის სახლებში).

სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთათვის არსებული წესისამებრ მიკუთვნებულ სახლებში, აგრეთვე მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოთა კუთვნილ სახლებში საცხოვრებელი სადგომების გაცვლა შეიძლება მხოლოდ დაწესებულებისა თუ საწარმოს ადმინისტრაციის თანხმობით.

შენიშვნა. ამა მუხლის მეორე ნაწილში აღნიშნული სარჩელის განცხადება შეაჩერებს სადგომის გაცვლას, უკეთუ სარჩელი განცხადებულია ათი დღის განმავლობაში იმ დღიდან, რაც განზრახული გაცვლა საშუამავლო საბინაო ბიუროს თუ ნოტარიუსის (ან მისი მონაცვლე ორგანოს) მეშვეობით სახლის სამოურაოს ეცნობა“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. ივლისის 4.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

158. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

ჩაის ნარგავთა დაცვისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ და გასაღების მიზნით ჩაის შინაურულად დამუშავების აკრძალვის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ჩაის ნარგავთა დაზიანების ან განადგურებისათვის, სხვათა შორის საქონლის მიშვებით წახდენისათვის, როგორც სასოფლო მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორის პლანტაციებზე, ისე ინდივიდუალურ საგლეხო მეურნეობათა პლანტაციებზე, დაწესებულ იქნეს პასუხისმგებლობა საადმინისტრაციო წესით—იძულებითი მუშაობა სამ თვემდე ან ჯარიმა 300 მანეთამდე, რასაც დამნაშავეთ დაადებენ სათანადო რაიონების მილიციის უფროსები სასოფლო საბჭოებისა, მუშათა და გლეხთა მილიციის ორგანოებისა და აგრონომიული პერსონალის აქტების მიხედვით.

შენიშვნა 1. ამა მუხლში აღნიშნული ქონების განზრახ დაზიანება ან განადგურება გამოიწვევს პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის წესით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის 178 და 194 მუხლების თანახმად, კუთვნილებისამებრ.

შენიშვნა 2. ზემოაღნიშნული მოქმედებით მიყენებული ზარალი გადახდევინებულ უნდა იქნეს საერთო წესისამებრ; ამასთანავე, წანახედით მიყენებული ზარალის გადახდევინებას უნდა შეეფარდოს „წანახედით მიყენებული ზარალის გამო აღძრულ დავათა განხილვის წესის შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ივნისის 9-ის დადგენილებით გათვალისწინებული წესები (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-14 №-ი, მუხ. 206 და 22 №-ი, მუხ. 318).

2. წინადადება მიეცეს იმ რაიონების სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, სადაც ჩაის კულტურაა გაშენებული, დააწესონ, საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, იმ აგრიკულტურულ ღონისძიებათა მინიმუმი, რაც უზრუნველყოფს ჩაის ნარგავთა რაციონალურ მოვლას და ჩაის პლანტაციების წესიერად შენახვას, და განახორციელონ ეს ღონისძიებანი თანახმად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. აპრილის 24-ის დადგენილებისა „მოსავლიანობის გასადიდებლად მარტივ აგრიკულტურულ ღონისძიებათა სავალდებულო წესით განხორციელების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-12 №-ი, მუხ. 101).

ჩაის კულტურისათვის საჭირო აგრომინიმუმის თაობაზე გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის დამნაშავე პირნი მიცემულ უნდა იქნენ კანონით განსაზღვრულ პასუხისგებაში; ამასთანავე, იმ გადასახდელთა გარდა, რაც გათვალისწინებულია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული—1929 წ. აპრილის 24-ის—დადგენილების მე-7 მუხლით, მათ შეიძლება აგრეთვე ჩამოერთვათ კოოპერაციის მეშვეობით გასაწევი სასურსათო და სამრეწველო მომარაგების უფლება.

3. აეკრძალოს ყველა ინდივიდუალურ საგლეხო მეურნეობას ჩაის შინაურულად (კუსტარულად) დამუშავება გასაღების მიზნით და ასეთ მოქმედებისათვის დამნაშავე პირნი მიცემულ იქნენ პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 106 მუხლის თანახმად (სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. თებერვლის 11-ის დადგენილების რედაქციით—საქართველოს სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-5 №-ი, მუხლი 68).

4. მიენდოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს გამოსცეს, ათი ღლის ვადაზე ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან, რესპუბლიკის პროკურორთან და საქართველოს სსრ მილიციისა და სისხლის საქმეთა სამძებროს უფროსთან შეთანხმებით, ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

5. ამა დადგენილების მოქმედება ვრცელდება საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მასში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებითურთ.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ლ. სუხიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. ივლისის 4.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 164 №-ში 1931 წ. ივლისის 18.

---

159. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

შერეული საიალაღო კომიტეტების მოწყობისა და „წანახედით მიყენებული ზარალის გამო აღძრულ დავათა განხილვის წესის თაობაზე“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ივლისის 9-ის დადგენილების შეცვლის შესახებ.

„ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შერეული საიალაღო კომიტეტების შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აპრილის 28-ის დადგენილების თანახმად („ზარია ვოსტოკა“-ს 1931 წ. 118 №-ი) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I.

მოწყობილ იქნეს ბაშკიჩეთისა და ბოგდანოვკის რაიონებში შერეული საიალაღო კომიტეტები იმ შედგენილობით და ფუნქციებით, რაც გათვალისწინებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია „ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შერეული საიალაღო კომიტეტების შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აპრილის 28-ის დადგენილების მე-3 და მე-6 მუხლებში („ზარია ვოსტოკა“-ს 1931 წ. 118 №-ი).

II.

გაუქმებულ იქნეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მაისის 6-ის დადგენილება „ახალქალაქის მაზრაში საიალაღო კომიტეტის დაარსების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-11 №-ი, მუხ. 152).

III.

1. „წანახედით მიყენებული ზარალის გამო აღძრულ დავათა განხილვის წესის შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ივლისის 9-ის დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-14 №-ი, მუხ. 206) მე-3, 4 და 6 მუხლები მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„3. სასოფლო კომისიის გამგებლობის საგანს შეადგენს გამოარკვიოს წანახედის ფაქტი და შეაფასოს წანახედით მიყენებული ზიანი ისეთ შემთხვევაში, როდესაც ამა თუ იმ სოფელში მომხდარი წანახედი მიყენებულია იმავე სოფლის მცხოვრებთა საქონლის მიერ.

სარაიონო კომისიის გამგებლობის საგანია—გამოარკვიოს წანახედის ფაქტი და განსაზღვროს წანახედით მიყენებული ზარალის რაოდენობა ყველა სხვა შემთხვევაში“.

„4. სათანადო კომისია წანახედის ფაქტის გამორკვევისა და წანახედით მიყენებული ზარალის განსაზღვრის დროს შეადგენს ოქმს, რომელშიაც აღნიშნულ უნდა იყოს: ოქმის შედგენის დრო და ადგილი, კომისიის შედგენილობა, წანახედის აღწერილობა, რაოდენობა და ღირებულება, მიყენებული ზიანის საერთო ოდენობა და ვისია საქონელი, რომელმაც წანახედი მიაყენა“.

„6. სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს და სასოფლო საბჭოს, დაინტერესებულ პირთა საჩივრის მიხედვით, შეუძლიანთ შეამოწმონ, თუ რამდენად სწორია სათანადო კომისიის მოქმედება“.

2. გაუქმებულ იქნეს „წანახედით მიყენებული ზარალის გამო აღძრულ დავათა განხილვის წესის შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ივლისის 9-ის დადგენილების მე-3 და მე-6 მუხლების შენიშვნები (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-14 №-ი. მუხ. 206).

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. ივლისის 4.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანადირო და სათევზე მეურნეობა

160. დადგენილება ს.კ.ს.

„საქართველოს თევზის“ სააქციო საზოგადოების გამგებლობაში საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ყველა სათევზე სანახის გადაცემის თაობაზე“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მე-5 მუხლის შენიშვნის შეცვლის შესახებ.

„თევზის ჭერის წესების დარღვევათა აღმოჩენისათვის სათევზე რეწაობის ზედამხედველობის ორგანოებისა, მილიციისა და სანაპირო დაცვის ორგანოების დაპრემირების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. მარტის 31-ის დადგენილების შესაბამისად—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

მე-5 მუხლის შენიშვნა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. იანვრის 5-ის დადგენილებისა „საქართველოს თევზის“ სააქციო საზოგადოების გამგებლობაში საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ყველა სათევზე სანახის გადაცემის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-2 №-ი, მუხ. 16) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„**შენიშვნა.** თევზის ჭერისა და თევზის პროდუქტების ვაჭრობის წესების დარღვევის აღმომჩენთა დაპრემირება მოხდება იმ საფუძველზე და იმ წესით, რაც აღნიშნულია სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. მარტის 31-ის დადგენილებაში“.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. მესხი.**

1931 ივნისის 14.
ტფილისი.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა

161. დადგენილება ს.კ.ს.

„რაიონებში გადაყვანილი მომუშავეების საბინაო-საყოფაცხოვრებო საჭიროებათა უზრუნველყოფის თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 370 №-ის დადგენილების შეფარდების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

„რაიონებში გადაყვანილი მომუშავეების საბინაო-საყოფაცხოვრებო საჭიროებათა უზრუნველყოფის შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 370 №-ის დადგენილების მე-11 მუხლის თანახმად („ზარია ვოსტოკა“-ს 1931 წ. 146 №-ი) საქართველოს სსრ სასალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი ინსტრუქცია „რაიონებში გადაყვანილი მომუშავეების საბინაო-საყოფაცხოვრებო საჭიროებათა უზრუნველყოფის შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 370 №-ის დადგენილების შეფარდებისათვის.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. მესხი.**

1931 წ. ივნისის 28.
ტფილისი.

მუნიციპალური ბიბლიოთეკა

ინსტრუქცია

„რაიონებში გადაყვანილი მომუშავეების საბინაო-საყოფაცხოვრებო საჭიროებათა უზრუნველყოფის შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 370 №-ის დადგენილების შეფარდებისათვის.

სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმები დაუყოვნებლივ უნდა შეუდგნენ „რაიონებში გადაყვანილი მომუშავეების საბინაო-საყოფაცხოვრებო საჭიროებათა უზრუნველყოფის შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 370 №-ის დადგენილების განხორციელებას („ზარია ვოსტოკას“-ს 146 №-ი 1931 წ. მაისის 30-ისა) შემდეგ საფუძველზე:

1. იმ სოფლებისათვის, სადაც რაიონის ცენტრია, სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით განსაზღვრულ უნდა იქნეს საცხოვრებელი ფართობის ნორმები, იმისდამიხედვით, თუ საშუალოდ რა საცხოვრებელი ფართობი მოდის თვითეულ მდგმურზე ამა თუ იმ სოფელში; ამასთანავე, საცხოვრებელი ფართობის ნორმა თვითეულ სულზე არავითარ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს 8 კვადრატულ მეტრს.

2. საცხოვრებელი ფართობის განსაზღვრული ნორმის თანახმად ყველა სახლში, მუნიციპალიზებული იქნება იგი თუ ნაციონალიზებული და კერძო მფლობელობისა, გამოირკვევა და აღინუსხება ზედმეტი სააცხოვრებელი ფართობი, როგორც დამოუკიდებელი საცხოვრებელი ფართობი, ე. ი. იმ ცალკეული ოთახების სახით—ცალკე შესავლითურთ, რომლებიც უჭირავთ არამშრომელთა კატეგორიის მდგმურებს.

შენიშვნა. არამშრომელთა კატეგორიის მდგმურებად ითვლებიან: კულაკები, რელიგიური კულტის მსახურნი და ის პირები, რომელთა არსებობის წყაროს შეადგენს ვაჭრობა, გაყიდვა-მიწოდება, შუამავლობა და სხვა ამგვარი ოპერაცია, აგრეთვე რომელთაც აქვთ ფულადი კაპიტალები, უკეთუ ისინი დაბეგრილ არიან საშემოსავლო გადასახადით ამ გადასახადის მე-3 №-ის განრიგების თანახმად,

3. რაიონებში გადაყვანილი მომუშავეების საბინაო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად პირველ რიგში ჩამორთმევა წინა მუხლის წესისამებრ გამორკვეული ზედმეტი საცხოვრებელი ფართობი. ზედმეტი საცხოვრებელი ფართობის ჩამორთმევა მოხდება საადმინისტრაციო წესით სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად.

4. უკეთუ მეორე მუხლის წესისამებრ გამორკვეული ზედმეტი საცხოვრებელი ფართობი საკმარისი არ იქნება რაიონებში გადაყვანილი მომუშავეების საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, არამშრომელთა კატეგორიის მდგმურები, რომელთაც მუნიციპალიზებულ და ნაციონალიზებულ სახლებში უჭირავთ ზედმეტი საცხოვრებელი ფართობი, რაც ტეხნიკური მიზეზების გამო არ შეიძლება ჩამორთმეულ იქნეს, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით, შეიძლება გადასახლებულ იქნენ სხვა, საცხოვრებლად ვარგისს, დაწესებული ნორმის ფართობიან ბინაზე. გადასახლება მოხდება საადმინისტრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციო წესით და გადასახლებულ პირთ გადასახლებისათვის მიეცემათ ერთი კვირის ვადა.

5. უკეთუ რაიონებში გადაყვანილი მომუშავეების საბინაო საჭიროებათა დაკმაყოფილება შეუძლებელია ამა ინსტრუქციის მე-3 და 4 მუხლების წესისამებრ, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით, მუნიციპალიზებული და ნაციონალიზებული სახლებიდან შეიძლება გამოსახლებულ იქნენ არამშრომელთა კატეგორიის მდგმურნი სხვა საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად.

ასეთ შემთხვევაში გამოსახლება მოხდება საადმინისტრაციო წესით და გამოსახლებულთ მიეცემათ ერთი თვის ვადა დღიდან მათთვის იმის გამოცხადებისა, რომ ისინი გამოსახლებულ უნდა იქნენ.

6. „რაიონებში გადაყვანილი მომუშავეების საბინაო-საყოფაცხოვრებო საჭიროებათა უზრუნველყოფის შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით გათვალისწინებული შემჭიდროება, გადასახლება და გამოსახლება არ ეხება მშრომელთა კატეგორიის მდგმურებს და იმ კერძო მფლობელობის სახლებს, რაც აგებულია, დამთავრებულია ან აღდგენილია აღნაგობის უფლების წესით.

7. ამა ინსტრუქციის 1-ლ მუხლში აღნიშნული სოფლებისათვის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები განსაზღვრავენ იმ სადგომების საბინაო ქირის განაკვეთებს, რომლებიც უჭირავთ სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მომუშავეთ. საბინაო ქირის განაკვეთების განსაზღვრის დროს სახელმძღვანელოდ მიღებულ უნდა იქნეს ის საერთო დებულებანი, რაც გათვალისწინებულია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ნოემბრის 2-ის დადგენილებაში „საქართველოს სსრ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის შესახებ „(კან. კრ. 1929 წ. მე-19 №-ი, მუხ. 202); ამასთანავე ეს განაკვეთები არ უნდა აღემატებოდეს ახლო მდებარე ქალაქის განაკვეთებს.

სახელმწიფო დაზღვევა

162. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ-ის სოფლებსა და ქალაქებში 1932 წ. სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის ჩატარების შესახებ.

სოფლებსა და ქალაქებში 1932 წ. სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ გამოცემული შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1931 წლის ივნისის 22-ის დადგენილების (სსრკ-ის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის „იზვესტია“ 1931 წ. № 171) შესაბამისად და ამ დადგენილების 7, 12 და 14 მუხლების საფუძველზე— საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ჩატარებულ იქნეს 1932 წელს საქართველოს სსრ-ის სოფლებსა და ქალაქებში სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევა შემდეგი წესით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. საქართველოს სსრ სოფლებსა და ქალაქებში სავალდებულო საგანაკვეთო წესით დაზღვეულ უნდა იქნეს შემდეგი ქონება:

კოლმეურნეობებში და სხვა პირველი საფეხურის კოოპერატივებში, გარდა საშინამრეწველო-სარეწაო კოოპერატივები—საქალაქად და სამომხმარებლო კოოპერატივებისა—ყველგან	ინდივიდუალურ მეურნეობაში
ა) შენობები, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საწარმონი (გაწყობილობით), რთული სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი და მექანიზირებული ტრანსპორტი, მინდვრის და ველის მთელი პროდუქცია (სათესლე, სასურსათო და საქონლო)—ცეცხლისაგან და სხვა სტიქიური უბედურებისაგან, როგორიც არის-წყალდიდობა, მიწის ძვრა, მეწყერი, ქარიშხალი, გრიგალი და ნიაღვარი.	ა) შენობები; სასოფლო სამეურნეო და სამრეწველო საწარმონი (გაწყობილობით)—ცეცხლისაგან (ქალაქებში).
ბ) სას.-სამეურნეო მცენარეები — სეტყვისაგან.	ბ) სას.-სამ. მცენარეები—სეტყვისაგან.
გ) ბამბის, სოიას, კენაფის, აბუსალათინის, არახისის და სუძის ნათესები—მოუსავლობისაგან.	გ) ბამბის, სოიას, კენაფის, აბუსალათინის, არახისის და სუძის ნათესები—მოუსავლობისაგან.
დ) მსხვილფეხა რქოსანი საქონელი 1 წლიდან—სიკვდილისაგან.	დ) მსხვილფეხა რქოსანი საქონელი 1 წლიდან—სიკვდილისაგან.
ე) ცხენი, აქლემი და ვირი 2 წლიდან—სიკვდილისაგან.	ე) ცხენი, აქლემი და ვირი 2 წლიდან—სიკვდილისაგან.
ვ) ცხვარი, თხა და ღორი 6 თვიდან—სიკვდილისაგან.	
ზ) საჯიშე საქონელი 6 თვიდან—სიკვდილისაგან.	

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა 1. 1-ლ მუხლში ჩამოთვლილი დაზღვევის სახეები გატარდება ყველა იმ ადგილას, სადაც ეს სახეები დღემდე ტარდებოდა (საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. აგვისტოს 25-ის დადგენილება—კან. კრ. 1930 წ. 17 №-ი, მუხ. 272). კოლმეურნეობათა სამინდვრე და საველე პროდუქციის სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევა შემოღებულ უნდა იქნეს ყველგან.

შენიშვნა 2. რთული სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი და მექანიზირებული ტრანსპორტი, რაც დაზღვეულ უნდა იქნეს სავალდებულო საგანაკვეთო წესით, დაწვრილებით აღნიშნულია ამასთანავე დართულ ნუსხაში (დანართი № 1). კოლმეურნეობებს უფლება აქვთ წარადგინონ დასაზღვევად სავალდებულო საგანაკვეთო წესით სხვა სას.-სამეურნეო ინვენტარიც, რაც მათ საინვენტარო აღწერილობაში ირიცხება.

2. შენობის, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საწარმოს (გაწყობილობით), აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის, მექანიზირებული ტრანსპორტის და სამინდვრე და საველე პროდუქციის ზარალისათვის კოლექტიურ მეურნეობას მიეცემა დაზღვევის საზღაური ქონების სრული ღირებულებით საინვენტარო აღწერილობის მიხედვით ან და, უკეთუ საინვენტარო ცნობები არ არის, შეფასების სრული რაოდენობით.

3. ქალაქებში შენობის და სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საწარმოს (გაწყობილობით) ზარალისათვის დაზღვევის საზღაური მიეცემა: საშუალო: მეურნეობას, რომელიც სავსებით განთავისუფლებულია სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან,—მთელი ღირებულების რაოდენობით, შეფასების მიხედვით; ყველა დანარჩენ შრომითს მეურნეობას—შეფასების 75% რაოდენობით; კულაკურ მეურნეობას—შეფასების 50% რაოდენობით.

4. სასოფლო-სამეურნეო მცენარეების სეტყვისაგან და სასოფლო-სამეურნეო პირუტყვის სიკვდილისაგან დაზღვევის დროს საზღაური როგორც კოლმეურნეობას, ისე ინდივიდუალურ მეურნეობას მიეცემა მტკიცე ნორმებით, რაც აღნიშნულია ამასთანავე დართულ ცხრილში (დანართი № 2).

შენიშვნა. კოლმეურნეობას შეუძლიან დააზღვევოს თავისი პირუტყვი მისი სრული ღირებულების რაოდენობამდე საინვენტარო აღწერილობით და აგრეთვე საინვენტარო ღირებულებაზე მეტი რაოდენობითაც საფინანსო ორგანოების შეფასებით. სანაშენო და აგრეთვე გაუმჯობესებული ჯიშის საქონელი კოლმეურნეობაში უსათუოდ დაზღვეულ უნდა იქნეს მისი სრული ღირებულებით.

5. სასოფლო-სამეურნეო მცენარეების მოუსავლობისაგან დაზღვევის დროს საზღაური მიიცემა მოსავლის დანაკლისის ღირებულების რაოდენობით მტკიცე დასამზადებელი ფასების მიხედვით.

მოსავლის დანაკლისად ითვლება განსხვავება ნამდვილ მოსავალსა და უწყებული ადგილისათვის დაწესებულ პასუხისმგებლობის ზღვრულ ნორმებს შორის, რომელი ნორმებიც აღნიშნულია ამასთანავე დართულ ცხრილში (დანართი № 3).

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. დაზღვევის საზღაური 2—5 მუხლების თანახმად დაწესებული რაოდენობით მიიცემა იმ ზარალისათვის, რაც მოხდება 1931 წლის ივლისის 1-დან.

7. ზარალი დაწესებული ნორმების მიხედვით გამოანგარიშებული მთელი თანხით ანაზღაურდება მხოლოდ ქონების სრული დაღუპვის შემთხვევაში; ქონების ნაწილობრივი დაზიანების დროს მიეცემა ამ თანხის სათანადო ნაწილი.

8. სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის გადასახადი გამოიანგარიშება 2-5 მუხლების საფუძველზე დადგენილ თანხაზე იმ ტარიფის მიხედვით, რაც აღნიშნულია ამასთანავე დართულ ცხრილებში (დანართები) № № 4, 5, 6, და 7).

9. დაზღვევის გადასახადის გადასახდელად დაწესებულია შემდეგი ზღვრული ვადები:

ა) კოლმეურნეობებისათვის:

30% დაზღვევის გადასახადის გამოანგარიშებული თანხისა—1931 წ. სექტემბრის 15-სათვის,

30% დაზღვევის გადასახადის გამოანგარიშებული თანხისა—1931 წ. ნოემბრის 1-სათვის,

40% დაზღვევის გადასახადის გამოანგარიშებული თანხისა—1931 წ. დეკემბრის 15-სათვის,

ბ) ინდივიდუალური მეურნეობებისათვის:

50% დაზღვევის გადასახადის გამოანგარიშებული თანხისა—1931 წ. ოქტომბრის 1-სათვის,

50% დაზღვევის გადასახადის გამოანგარიშებული თანხისა—1931 წ. დეკემბრის 1-სათვის;

გ) კულაკური მეურნეობებისათვის და იმ პირთათვის, რომელნიც იბეგრებიან საშემოსავლო გადასახადით 3 №-ის განრიგების მიხედვით,—მთელი თანხა დაზღვევის გადასახადისა სრულად 1931 წ. სექტემბრის 1-სათვის.

10. უკეთუ დაზღვევის გადასახადი შეტანილ არ იქნა ზემოაღნიშნულ ვადებზე, იგი ჩაირიცხება ნარჩენად და გადახდევინებულ უნდა იქნეს გადასახადთა გადახდევინების დებულებით გათვალისწინებული წესისამებრ.

ნარჩენს დაერიცხება საურავი შემდეგი რაოდენობით (თვითეული ვადაგადაცილებული დღისათვის):

ა) 0,1% კოლმეურნეობებს და სხვა პირველი საფეხურის კოოპერატივებს,

ბ) 0,2% ინდივიდუალურ შრომითს მეურნეობებს და

გ) 1% კულაკურ მეურნეობებს და იმ პირთ, რომლებიც იბეგრებიან საშემოსავლო გადასახადით 3 №-ის განრიგების მიხედვით.

11. დაზღვევის გადასახადისაგან სრულიად განთავისუფლდება:

ა) ის კოლმეურნეობა, რომელიც 1931 წელს სრულიად განთავისუფლებულია სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან;

ბ) ის კოლმეურნეობა, რომელიც საგეგმო წესით ახალ ადგილას გადასახლდა.

12. ნაწილობრივ განთავისუფლდება დაზღვევის გადასახადისაგან ის კოლმეურნეობა, რომლის შედგენილობაშიაც შედის:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) სსრ კავშირის ან მოკავშირე რესპუბლიკების ერთი ან რამდენიმე ორდენით ან საპატიო რევოლიუციონური იარაღით დაჯილდოებული პირი და შრომის გმირი;

ბ) ყოფილი წითელგვარდიელი და წითელი პარტიზანი;

გ) საკადრო სამერიგეო და უმცროს თავმდგომთა შედგენილობის სამხედრო მსახური, რომელიც ვადიან (მუდმივ) სამსახურშია ან ვადაზე ზედმეტ სამსახურში, 1931 წლის შემოდგომაზე გაწვეულთა გამოუკლებლად;

დ) საშუალო, უფროს და უმაღლეს თავმდგომთა შედგენილობის საკადრო და რეზერვში მყოფი სამხედრო მსახური;

ე) საშუალო, უფროს და უმაღლეს თავმდგომთა შემადგენლობის ის პირი, რომელიც გრძელვადიან შვებულებაშია, ტერიტორიალური ნაწილის ცვალებად შედგენილობაშია და სათადარიგოდ იმყოფება და რომელიც გაწვეულია ასეთ პირთათვის დაწესებულ შეკრებაზე ან ინსტრუქტორად წვევამდედამდე და ჯარსგარეშე მომზადების ჩასატარებლად;

ვ) უმცროსი საკომანდო შედგენილობის სამხედრო მსახური, რომელიც გრძელვადიანი შვებულებიდან გადარიცხულია ტერიტორიალური ნაწილის ცვალებად შედგენილობაში;

ზ) გამხედროებული დაცვისა და გამხედროებული სახანძრო დაცვის სამწყობრო და საადმინისტრაციო-სამეურნეო შედგენილობის მომუშავე;

თ) მილიციის ოპერატიულ-სამწყობრო და საადმინისტრაციო-სამეურნეო შედგენილობის მომუშავე;

ი) კულაკების მიერ კულაკობის წინააღმდეგ გამოსვლისათვის მოკლული პირისა და აგრეთვე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ან ამ შესრულებასთან დაკავშირებით მოკლული ტყის მომუშავის ქვრივი და არასრულწლოვანი შვილი;

კ) ომისა და შრომის ინვალიდი, რომელიც ინვალიდობის 1, 2 და 3 ჯგუფებს მიეკუთვნება;

ლ) კოლმეურნეობაში მიღებული საბავშო სახლის მოწაფე და სრული ობოლი.

როდესაც კოლმეურნეობას ამ მუხლის თანახმად შეღავათი მიეცემა, მას მთლად მოეხსნება დაზღვევის გადასახადის ის ნაწილი, რაც ზემოჩამოთვლილ მოქალაქეებზე მოდის.

ამის გარდა, ნაწილობრივ განთავისუფლდება დაზღვევის გადასახადისაგან ის კოლექტიური მეურნეობა, რომელიც დაზარალდება უწყებულ ადგილას შემოღებული ამა თუ იმ სახის საგანაკვეთო დაზღვევით გაუთვალისწინებელი სტიქიური უბედურებისაგან.

რაოდენობა და წესი, რომლის მიხედვითაც სარაიონო თუ საქალაქო საგადასახადო კომისია კოლექტიურ მეურნეობას დაზღვევის გადასახადს მოხსნის, განისაზღვრება ა/კსფსრ-ის ფინანსთა სახალხო კომისარიატის ინსტრუქციით.

13. მთლად განთავისუფლდება დაზღვევის გადასახადისაგან:

ა) მცირეძალოვანი ინდივიდუალური მეურნეობა, რომლის დაზღვევის გადასახადის საერთო თანხა ერთ მანეთს არ აღემატება;

ბ) მცირეძალოვანი ინდივიდუალური მეურნეობა, რომელიც 1931 წელს სრულიად განთავისუფლებულია ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან.

14. ნაწილობრივ, არა ნაკლებ, ვიდრე ერთი მესამედით, განთავისუფლდება დაზღვევის გადასახადისაგან ის მეურნეობა, რომლის შედგენილობაშიაც შედიან:

ა) მე-12 მუხლის „ა“ და „ი“ პუნქტებში ჩამოთვლილი პირნი;

ბ) ომისა და შრომის ინვალიდები, რომლებიც მიეკუთვნებიან ინვალიდობის 1, 2 და 3 ჯგუფებს, უკეთუ ამ მეურნეობათ არა აქვთ არაშრომითი ხასიათის შემოსავალი;

გ) ისეთი სტიქიური უბედურებით დაზარალებული მეურნეობანი, რაც გათვალისწინებული არ არის უწყებულ ადგილას შემოღებული ამა თუ იმ სახის საგანაკვეთო დაზღვევით, უკეთუ ეს მეურნეობანი მთლად ან ნაწილობრივ განთავისუფლებული არიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან;

დ) იმ გადასახლებულთა მეურნეობა, რომელნიც, თანახმად გადასახლების წესებისა, გადასახლდნენ ახალ ადგილას, გადასახლების პირველ წელიწადს, და აგრეთვე იმ ემიგრანტების და რეემგრანტების მეურნეობა, რომელნიც თავიანთ შრომას იყენებენ სოფლის მეურნეობაში, და მცირეძალოვანი მომთაბარე მეურნეობა, რომელიც მკვიდრ ბინადრობაზე გადადის.

ეს შეღავათი არ გავრცელდება იმ კულაკურ მეურნეობაზე, რომელიც გადასახლებულ იქნა ახალ ადგილას.

იმ რაოდენობას და წესს, რომლის მიხედვითაც სარაიონო თუ საქალაქო საგადასახადო კომისიამ, ამა მუხლის თანახმად, დაზღვევის გადასახადი უნდა მოხსნას, განსაზღვრავს ა/კსფსრ-ის ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

15. იმ კოლმეურნეობებისა და ინდივიდუალური მეურნეობების შეღავათი, რომელთა შედგენილობაშიაც შედიან მე-12 მუხლის „გ“ პუნქტში აღნიშნული სამხედრო მსახურნი, ძალაში რჩება ერთი წლის გასვლამდე დღიდან სამხედრო მსახურის გრძელვადიან შვებულებაში გაშვებისა, სათადარიგოდ გადარიცხვისა ან სამსახურიდან სრულიად დათხოვნისა.

16. შემოსული დაზღვევის გადასახადის საერთო თანხიდან 10% მიიქცევა ადგილობრივ სახსრად სათანადო სარაიონო ბიუჯეტში იმ ხარჯების დასაფარავად, რაც საჭიროა ხანძრისა, წყალდიდობისა და პირუტყვის სიკვდილიანობის წინასწარ თავიდან ასაცილებლად და მათ წინააღმდეგ საბრძოლველად.

აღნიშნული თანხა გადაირიცხება, ხოლო გადარიცხული თანხა დაიხარჯება სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილი წესისამებრ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **დ. ფანცულაია.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. მესხი.**

1931 წ. ივლისის 8.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუსხა

რთული სასოფლო-სამეურნეო ინვენტარისა და მექანიზირებული ტრანსპორტისა, რაც დაზღვეულ უნდა იქნეს სავალდებულო საგანაკვეთო წესით ცეცხლისაგან და სხვა სტიქიური უბედურებისაგან კოლმეურნეობებში და პირველი საფეხურის კოოპერატივებში, გარდა საშინამრეწველო-სარეწაო კოოპერატივების— ქალაქად და სამომხმარებლო კოოპერატივებისა—ყველგან.

1. ტრაქტორი ყოველგვარი სისტემისა;
2. გუთანი ყოველგვარი სისტემისა (სატრაქტორო და საცხენო);
3. ფარცხი სატრაქტორო და თეფშებიანი;
4. მწკრივად სათესი მანქანა ყოველგვარი სისტემისა;
5. ფოცხი საცხენო;
6. მარცვლის საწმენდი მანქანა (სანიავებელი, დამხარისხებელი, გოროველის გადამრჩევი მანქანა, ტრიერი და სხვა);
7. კომბაინი;
8. რთული და მარტივი სალეწი მანქანა;
9. სამკალი მანქანა;
10. სათიბავი მანქანა;
11. ძნის შესაკრავი მანქანა;
12. თივის საწნეხი მანქანა;
13. ლოკომობილი და სხვა მექანიკური ძრავი;
14. სეპარატორი, კარაქის სადღვებელი და ზეთის სახდელი მანქანა, ცენტროფუგა.
15. ინკუბატორი და ბრუდერი;
16. მოტოკულტივატორი, მიწის ფრეზერი;
17. კოპტონისა და მარცვლის სამსხვრევი მანქანა,
18. საწნეხელი და ჭაჭის საქაჩი მანქანა, ვერმოლერი;
19. მექანიზირებული ტრანსპორტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 2

სასოფლო-სამეურნეო მცენარეების სეტყვისაგან და სასოფლო-სამეურნეო პირუტყვის სიკვდილისაგან დაზღვევის უზრუნველყოფის ნორმები.

ა) სას.-სამ. მცენარეების დაზღვევის ნორმები

ტეხნიკური და სპეციალური კულტურები	ნორმა მანეთობით ჰექტ-ზე	
	კოლექტ. მეურნეობებ.	ინდივიდ. მეურნეობებ.
მარცვლეული კულტურები	55	45
მარცვლეული და ცერცვოვანი ნაყოფი და ფესვნარი და ძირ-კვნარის ნაყოფი	100	85
ხელოვნური ბალახთესვა	100	85
ბ რ ი ნ ჯ ი	250	200
ბახჩა და ბოსტანი	300	250
სამკურნალო ბალახები და ლუფა	300	250
კანაფი და სელი	200	150
ხეხილის და ხმილის ნარგავი	450	400
ვ ე ნ ა ხ ი	600	500
ჩ ა ი	600	500
თამბაქო ყვითელი აფხაზეთში	1.000	750
„ „ აფხაზეთის გარდა	800	600
თუთის ხის ნარგავი	350	250
დანარჩენი (კენდირი, რამი, გრეჩიხა, მდოგვი, ყაყაჩო, მზის-უმზირა, გოგში, ზაფრანა)	120	90

ბ) სას.-სამ. პირუტყვის დაზღვევის ნორმები

პ ი რ უ ტ ყ ვ ი	ნორმები მანეთობით სულზე	
	კოლმეურნ.	ინდივიდ. მეურნეობებ.
მოზარდი მსხვილფეხა რქოსანი საქონელი 1-დან $2^1/_2$ წლამდე	40	35
ხარკამეჩი და ფურკამეჩი $2^1/_2$ წლიდან	110	100
სხვა რქოსანი საქონელი $2^1/_2$ წლიდან	90	85
ცხენი 2 წლიდან	100	90
აქლემი 2 წლიდან	100	90
ვირი 2 წლიდან	30	20
ცხვარი და თხა 6 თვიდან	15	—
ღორი 6 თვიდან	30	—

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 3

სახ.-სამეურნეო კულტურების მოუსავლობისაგან სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის პასუხისმგებლობის ზღვრული ნორმები.

კულტურები	ნორმა ცენტ. ჰექ-ზე		ნორმა მან. ჰექ-ზე	
	კოლმეურნეობებ.	ინდივიდ. მეურნეობ.	კოლმეურნეობებ.	ინდივიდ. მეურნეობ.
ბამბა	5,6	4,3	170	130
სოია	5	4	75	60
კენაფი	30	20	95	65
აბუსალათინი	4	3,2	60	48
არახისი	5	4	540	430
სუძა	4	3	80	60

დანართი № 4.

ტარიფები

შენობათა, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საწარმოთა (გაწყობილობით) სახ.-სამეურნეო ინვენტარის, მექანიზირებული ტრანსპორტის და სამინდვრე და საველე პროდუქციის ცეცხლისაგან და სხვა სტიქიური უბედურებისაგან სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევისათვის (დაზღვევის თანხის 100 მან.-დან—მანეთობით)

	სოფლად	ქალაქად
კოლმეურნეობათათვის . . .	0,35	0,15
ინდივიდ. მეურნეობათათვის	—	0,30
კულაკურ „ . . .	—	0,90

შენიშვნა 1. კოლექტიურ მეურნეობაში სავალდებულო საგანაკვეთო წესით ცეცხლისაგან და სხვა სტიქიური უბედურებისაგან დაიზღვევა ზემოაღნიშნული ყველა სახის ქონება, ხოლო ინდივიდუალურ მეურნეობაში სავალდებულო საგანაკვეთო წესით დაიზღვევა მხოლოდ შენობები და ქალაქად მყოფ სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საწარმოთა ქონება და ისიც მარტოოდენ ცეცხლისაგან.

შენიშვნა 2. სამინდვრე და საველე პროდუქცია კოლექტიურ მეურნეობაში ცეცხლისაგან და სხვა სტიქიური უბედურებისაგან დაიზღვევა, ამ ტარიფით გათვალისწინებული დაზღვევის გადასახადის გადაუხდევინებლად, ყველა ადგილას, სადაც შემოღებულია ნათესის სეტყვისაგან დაზღვევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 5

სახ.-სამ. პირუტყვის გაწყდომისაგან სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის ტარიფები (დაზღვევის უზრუნველყოფის 100 მან-დან—მანეთობით).

პ ი რ უ ტ ყ ვ ი	კოლმეურნეობებ.	ინდივიდუალ. მეურნეობებისათვის		კულაკური მეურნ. და მე-3 №-ის განრიგ. დასაბ. პირ.	
	სოფლად და ქალაქ.	სოფლად.	ქალ.	სოფლად.	ქალ.
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი . .	2,6	4,7	4,7	14,1	14,1
ცხენი, აქლემი, ვირი	4,2	8,2	9,0	24,6	27,0
თხა და—ცხვარი უბრალო	6,0	—	—	—	—
ცხვარი კარაკულ. და დუმ.	4,0	—	—	—	—
ღორი	6,0	—	—	—	—

დანართი № 6

სახ-სამ. კულტურების სეტყვისაგან სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის ტარიფები (დაზღვევის უზრუნველყოფის 100 მან-დან—მანეთობით)

დასეტყვის საშიშროების ზოლები	სეტყვამგრძნობიერობის კლასები								
	სეტყვამგრძნ. 1 კლ.			სეტყვამგრძნ. 2 კლ.			სეტყვამგრძნ. მე-3 კ.		
	კოლმეურნ.	ინდივიდ. მეურნ.	კულაკ. მეურნ.	კოლმეურნ.	ინდივიდ. მეურნ.	კულაკ. მეურნ.	კოლმეურნ.	ინდივიდ. მეურნ.	კულაკ. მეურნ.
I	1,2	2,3	3,9	2,0	2,4	7,2	2,8	3,5	10,5
II	1,6	2,0	6,0	2,8	3,5	10,5	3,6	4,6	13,8
III	2,0	2,4	7,2	3,8	4,6	13,8	4,5	5,5	16,5
IV	2,5	3,1	9,3	4,5	5,5	16,5	5,0	6,6	19,8

შენიშვნა 1. სეტყვამგრძნობიერობის მიხედვით სასოფლო-სამეურნეო კულტურები კლასებად განაწილდება შემდეგნაირად:

I კლასი: სიმინდი, ფესვნარი და ძირკვნარი (საქონლის საკვები ჭარხალი და ბოსტნის ჭარხალი, კარტოფილი, მიწის ვაშლი, თალგამი, ბოლოკი), საკვები ბალახი (იონჯა, ტიმოთეს ბალახი), ჭვავი, ხორბალი, ასლი, ქერი, სორგო, ღომი, შვრია, ფეტვი, ხორბლეულ—ცერცვოვანი (მუხუდო, ლობიო, ცერცვი, ვიკა და სხვ.), სუდანის ბალახი.

II კლასი: უგრეხელა, ბრინჯი, მარცვლოვანი, ზეთოვანი (მზისუმზირა, აბუსალათინი, ყაყაჩო), ბახჩის და ბოსტნის კულტურები (საზამთრო, ნესვი, გოგრა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიტრი, პამიდორი), ბოჭკოვანი (ბამბა, სელი, კანაფი, გოგში), საწამლავ-მცენარეები, ლუფა.

III ჯგუფი: ხილი, ხმილი, ყურძენი, თამბაქო, თუთა, სვია, ხილის და ხილის სანერგეები, ჩაის და მანდარინის პლანტაციები.

შენიშვნა 2. დასეტყვის საშიშროების მხრივ საქართველოს ტერიტორია იყოფა ოთხ ზოლად:

I ზოლი: ოზურგეთის, ლანჩხუთის, ზუგდიდის, ჩხოროწყუს, ხობის, სენაკის, აბაშის, ჭიათურის, ვანის, ხონის, მარტვილის, ფოთის, ქუთაისის და სამტრედიის რაიონები და აჭარისტანი.

II ზოლი: ტფილისის, ბაღდადის, ჩოხატაურის, წალენჯიხის, ყარაიას, გარეკახეთის, წალკის, ალბულალ-მანგლისის და მცხეთის რაიონები.

III ზოლი: აფხაზეთი და ბორჩალოს, ბაშკიჩეთის, ლიუქსემბურგის, კასპის, ზესტაფონის, ჩხარის და ხარაგაულის რაიონები.

IV ზოლი: ახალქალაქის, ახალციხის, ტოლოშის, ბოგდანოვკის, ადიგენის, ხევის, გორის, ბორჯომის, სტალინისის, ცხინვალის, ჯავის, ლენინგორის, თელავის, ყვარელის, გურჯაანის, სიღნაღის, ლაგოდეხის, ოკრიბის, ამბროლაურის, ცაგერის, ქვემო-სვანეთის და ონის რაიონები.

დანართი № 7

სახ.-სამ. კულტურების მოუსავლიანობისაგან სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის ტარიფები (დაზღვევის უზრუნველყოფის 100 მან-დან—მანეთობით)

კ ულ ტ ურ ე ბ ი	კოლმეურნეობებისათ.	ინდივიდ. მეურნეობებ.	კულაკური მეურნეობებ.
ბ ა მ ბ ა	2,0	3,0	9,0
სოია, კენაფი, აბუსალათინი	4,0	6,3	18,9
არახისი და სუძა	5,0	7,0	21,0

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 161, 162 №№-ში 1931 წ. ივლისის 15, 16.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ რ ო მ ა

163. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სოფლის მეურნეობის სოციალისტურ სექტორში და სამრეწველო რაიონებში მუშაობისათვის კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის მობილიზაციის შესახებ.

რათა სოფლის მეურნეობის სოციალისტური სექტორისა და სამრეწველო რაიონების კვალიფიციური სამკურნალო-სასანიტარო და პროფილაქტიური დახმარების საქმე გაუმჯობესებულ იქნეს, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან და სამედიკო-სასანიტარო შრომის დარგში მომუშავეთა პროფესიონალური კავშირის ცენტრალურ გამგეობასთან ერთად, აღნუსხოს, ერთი თვის ვადაზე, სოფლის მეურნეობის სოციალისტურ სექტორში და სამრეწველო რაიონებში სამუშაოდ გაგზავნისათვის, ის კვალიფიციური სამედიცინო მომუშავენი (ექიმები, კბილის ექიმები, ფერშლები, სამედიცინო დები, ფარმაცევტები), რომელნიც ქ. ტფილისის სამკურნალო-სასანიტარო დაწესებულებებში მუშაობენ და რომელთა მობილიზაციისათვისაც, ამა დადგენილების მე-7 მუხლის თანახმად, დაბრკოლება არ არსებობს.

2. 1-ლი მუხლის წესისამებრ აღნუსხული სამედიცინო მომუშავენი გაიგზავნებიან ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის განკარგულებაში. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი გაანაწილებს მათ საგეგმო წესით სათანადო სამუშაოებზე სოფლის მეურნეობის სოციალისტურ სექტორში და სამრეწველო რაიონებში.

3. 1-ლ მუხლში აღნიშნული სამედიცინო მომუშავენი მობილიზებულ უნდა იქნენ ვადით ერთ წლამდე. მობილიზაციის დაწყების ვადად ჩაითვლება მათი სამუშაოზე გაგზავნის მომენტი.

4. მობილიზებულ სამედიცინო მომუშავეთ შეენარჩუნებათ წინანდელი სამსახურის სამუშაო ხელფასი სამი დღის განმავლობაში დღიდან მათთვის სამუშაოზე გაგზავნის განკარგულების ჩაბარებისა.

5. მობილიზებულ სამედიცინო მომუშავეთა სამუშაოზე გაგზავნის ხარჯს, შრომის კანონთა კოდექსის 82[4] მუხლის თანახმად, აანაზღაურებს ის დაწესებულება და ორგანიზაცია, სადაც დანიშნულია მომუშავე.

6. მობილიზებულ მომუშავეთა სამუშაო ხელფასი ახალ სამსახურისათვის არ შეიძლება იყოს იმ ჯამაგირზე ნაკლები, რასაც იგი იღებდა წინანდელი ძირითადი სამსახურის თანამდებობაზე. შეთავსებით მიღებული საშოვარი ანგარიშში არ ჩაითვლება.

მობილიზებული სამედიცინო მომუშავენი სამუშაოზე გაგზავნის დროს მიიღებენ კომპენსაციას არაგამოყენებული შვებულებისათვის საერთო წესისამებრ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. მობილიზებულ არ უნდა იქნენ: ა) ინვალიდები, რომელნიც წარადგენენ ინვალიდობის სათანადო მოწმობას სამკურნალო ექსპერტიზის ბიუროსას; ბ) ის მარტოხელა პირები, რომელთაც ჰყავთ თავიანთ მზრუნველობაზე მცირეწლოვანი შვილები ასაკით ორ წლამდე; გ) იმ პირთა ცოლები, რომელნიც მუდმივ ქ. ტფილისში ცხოვრობენ; დ) ის პირები, რომელნიც, სამი წლის განმავლობაში სოფლად მუშაობის შემდეგ, გადაყვანილ არიან ქ. ტფილისში ჯანმრთელობის ორგანოების მიერ.

8. ამა დადგენილების წესით მობილიზებულთ შეენაარჩუნებათ მობილიზაციის განმავლობაში მთლად ის საცხოვრებელი ფართობი, რაც უჭირავთ თვით მათ და მათ ოჯახებს, იმისდამიუხედავად, დარჩებიან მათი ოჯახის წევრები წინანდელ საცხოვრებელ ადგილას თუ გაჰყვებიან მობილიზებულთ.

9. მობილიზებული სამედიცინო მომუშავენი, მობილიზაციის ვადის დამთავრებისას, ბრუნდებიან თავიანთი წინანდელი ძირითადი სამსახურის თანამდებობაზე.

10. იმ ხარჯებს, რაც დაკავშირებულია მობილიზებულთა ტფილისში გადაყვანასთან მობილიზაციის ვადის გასვლისას, გაიღებენ მე-5 მუხლში გათვალისწინებული დაწესებულებანი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ლ. სუხიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. ივლისის 4.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 163 №-ში 1931 წ. ივლისის 17.

სოციალურ-კულტურული წყობილება

164. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

კულტურული მშენებლობის საბჭოების დებულების დამტკიცების შესახებ.

1. დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება კულტურული მშენებლობის საბჭოების შესახებ.

2. მიენდოს საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს განახორციელონ ანალოგიური ღონისძიებანი აღნიშნული რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. მესხი.**

1931 წ. აპრილის 29.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

კულტურული მშენებლობის საბჭოების შესახებ.

1. კულტურული მშენებლობის საბჭოები მოეწყობიან კულტურული მუშაობის ორგანიზაციისა და გაშლისათვის ერთიანი გეგმის მიხედვით. ეს საბჭოები ეხმარებიან განათლების სახელმწიფო ორგანოებს, რათა მათ ერთიანი ხელმძღვანელობა კულტურული მშენებლობის სფეროში განახორციელონ ისე, რომ ეს ხელმძღვანელობა გადაიქცეს ცოცხალ, უშუალო საქმედ და ემყარებოდეს ორგანიზებული პროლეტარული საზოგადოებრიობის თვითმოქმედებას.

2. კერძოდ, კულტურული მშენებლობის საბჭოების ამოცანას შეადგენს:

ა) გააერთიანონ ყველა იმ ორგანიზაციის ძალები და სახსარი, რომელიც აწარმოებს კულტურულ მუშაობას (სახელმწიფო, პარტიული, კომკავშირული, საპროფკავშირო, სამეურნეო, კოოპერატიული, თავისუფალი საზოგადოებანი და სხვ.), და გაუწიონ მათ ხელმძღვანელობა;

ბ) მოახდინონ პარტიული, კომკავშირული, პროფესიონალური და კულტურული კადრების მობილიზაცია; ჩააბან ფართო საზოგადოებრივი მასები, ნებაყოფლობითი მონაწილეობის საფუძველზე, კულტურულ ლაშქრობაში, მოაწესრიგონ და გამოიყენონ მუშებისა, მოჯამაგირეებისა და ღარიბი და საშუალო გლეხების მასების ინიციატივა და თვითმოქმედება კულტურული რევოლიუციის ფართოდ გაშლის საქმეში;

გ) მოახდინონ მოსახლეობის სახსართა მობილიზაცია კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობისათვის (კულტურულ-საყოფაცხოვრებო კოოპერაცია, შაბათობა და სხვ.);

დ) გადააქციონ მთლად კულტურულ დაწესებულებათა ქსელი (სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები, კომუნისტური უმაღლესი სასწავლებლები, ტეხნიკუმები, კლუბები, ბიბლიოთეკები და სხვ.) დასაყრდნობ პუნქტებად მასიური მუშაობის გაშლისათვის;

ე) ფართოდ გაშალონ მასიური პოლიტიკურ-განმანათლებელი მუშაობა და გაუწიონ კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობა კულტურულ ლაშქრობაში ჩაბმულ მასებს;

ვ) გამოიყენონ ქალაქის მძღვანებელი და მომწესრიგებელი როლი სოფლად კულტურული ლაშქრობის გაშლის საქმეში—კულტურის სპეციალური ბრიგადებისა, კულტურული კადრების ორგანიზატორებისა, მოძრავი გუნდებისა და სხვ. გაგზავნით;

ზ) ფართოდ გაშალონ თვითკრიტიკა კულტურული მშენებლობის ამოცანის გარშემო, მუშაობის ახალ ფორმებში (სოციალისტური შეჯიბრი, დამკვრელობა და სხვ.) ფართო მასების მონაწილეობის საფუძველზე.

3. კულტურული მუშაობის ერთიანი გეგმა და მისი დაფინანსება განხორციელდება კულტურული მუშაობის მწარმოებელი ცალკეული ორგანიზაციების ფართო ინიციატივისა, თვითმოქმედებისა და პასუხისმგებლობის საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. კულტურული მუშაობის ერთიანმა გეგმამ უნდა მოიცვას ამ მუშაობის ყველა საფეხური, დაწყებული წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციიდან და გათავებული უმაღლესი სასწავლებლებით და სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტებით, რა უწყებაც და რა ორგანიზაციაც უნდა აწარმოებდეს ამ მუშაობას.

5. კულტურული მშენებლობის საბჭოები მოეწყობიან განათლების სახალხო კომისარიატთან, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან, ტფილისისა, ქუთაისისა, ფოთისა, ბათომისა და სოხუმის საქალაქო საბჭოებთან და სასოფლო საბჭოებთან.

6. კულტურული მშენებლობის საბჭოებში შედიან ერთის წლით არჩეული წარმომადგენელნი კულტურული მუშაობის მწარმოებელი ყველა სახელმწიფო, პარტიული, კომკავშირული და საპროფკავშირო დაწესებულებისა და ორგანიზაციისა, აგრეთვე სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა, საქალაქო საბჭოებისა, ყოველი სახის კოოპერაციისა, სამეურნეო ორგანოებისა და შენაერთებისა (ტრესტი, ფაბრიკა და ქარხანა, საბჭოთა მეურნეობა, კოლექტიური მეურნეობა და სხვ.), თავისუფალი საზოგადოებისა და წითელი არმიის ნაწილებისა.

საბჭოებში თავმჯდომარეობენ: რესპუბლიკანურში—განათლების სახალხო კომისარი, სარაიონოსა და საქალაქოში—სახალხო განათლების განყოფილების გამგე ან სახალხო განათლების ინსპექტორი და სოფლისაში—სასოფლო საბჭოს კულტრწმუნებული.

საბჭოების პირად შედგენილობას ამტკიცებენ: რესპუბლიკანურისა—სახალხო კომისართა საბჭო, სარაიონოსი და საქალაქოსი—სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმი და სოფლისა—სასოფლო საბჭო.

7. კულტურული მშენებლობის საბჭოები ირჩევენ პრეზიდიუმებს: რესპუბლიკანური—15 კაცისაგან, სარაიონო და საქალაქო—6 კაცისაგან და სასოფლო—3 კაცისაგან.

8. კულტურული მშენებლობის საბჭოები იკრიბებიან: რესპუბლიკანური—ორ თვეში ერთხელ, სარაიონო, საქალაქო და სასოფლო—თვეში ერთხელ.

9. კულტურული მშენებლობის საბჭოები—თვითეული თავისი მოქმედების ტერიტორიაზე—ხმარობენ ღონისძიებას ამა დებულების 1—4 მუხლში აღნიშნული ამოცანების განხორციელებისათვის, კერძოდ—ამუშავებენ როგორც კულტურული მუშაობის ერთ საერთო გეგმას, ისე თვითეული ორგანიზაციის ამ სფეროში მუშაობის გეგმას; ისმენენ ცალკეული ორგანიზაციების ანგარიშებს მუშაობის მსვლელობის შესახებ; ზრუნავენ კულტურული მუშაობისათვის სათანადო მატერიალური ბაზის შესაქმნელად; პოულობენ სახსარს მოსწავლეთა ღარიბი ნაწილისათვის მატერიალური დახმარების გასაწევად; ხელს უწყობენ სკოლების პოლიტეხნიზაციას და სხვ.

10. კულტურული მშენებლობის საბჭოების დადგენილებებს ამტკიცებენ: განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგია, სარაიონო აღმასრულებელი კო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიტეტებისა და საქალაქო საბჭოების პრეზიდიუმები და სასოფლო საბჭოებ— კუთვნილებისამებრ.

11. კულტურული მუშაობის ძირითადი დარგებისათვის გასაწევი ხელმძღვანელობის კონკრეტიზაციისა და გაზუსტების მიზნით განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული კულტურული მშენებლობის საბჭოს შედგენილობაში მოეწყობა შემდეგი სექციები: ა) საყოველთაო სავალდებულო სწავლებისა და მასიური კულტურული მუშაობის სექცია; ბ) სკოლების პოლიტეხნიზაციის სექცია; გ) კადრების მომზადების სექცია; დ) საპროგრამო-სამეთოდო და სასწავლო ლიტერატურის სექცია; ე) ეროვნულ უმცირესობათა შორის მუშაობის სექცია და ვ) საორგანიზაციო-საგეგმო სექცია.

სექციები, განათლების სახალხო კომისარიატის სათანადო სექტორებთან ერთად, ამუშავებენ კულტურული მშენებლობის პრინციპიალურ საკითხებს; კონტროლს უწევენ მიღებულ გადაწყვეტილებათა აღსრულებას და მონაწილეობას იღებენ, საზოგადოებრივი დატვირთვის წესით, კულტურული მშენებლობისათვის წარმოებულ ყოველდღიურ მუშაობაში.

თვითეული სექცია ირჩევს პრეზიდიუმს სამი წევრისაგან და იკრიბება საჭიროების მიხედვით.

12. კულტურული მშენებლობის საბჭოები ანხორციელებენ თავიანთ მუშაობას საზოგადოებრიობის ფართო ფენების მობილიზაციით, რისთვისაც მოაწყობენ კულტურულ ლაშქრობებს, კულტესტაფეტებს, მუშათა და განათლების დარგში მომუშავეთა ბრიგადებს, სოციალისტურ შეჯიბრებს, დამკვრელობას და სხვ.

13. კულტურული მშენებლობის საბჭოები, უწევენ—რა განათლების ორგანოებს დახმარებას მუშაობაში, არიან ამავე დროს საზოგადოებრივი კონტროლის ორგანოები განათლების ორგანოების მუშაობის მიმართ.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება

165. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოების დებულების შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოს დებულების მე-2 მუხლის „გ“ ლიტერა (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. 22 №-ი, მუხ. 318) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

[2. სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლო განიხილავს შემდეგ საქმეებს:]

„გ) **შრომის საქმეები**: შრომის დავა არა უმეტეს, ვიდრე 25 მანეთის თანხაზე, რაც აღიძვრის დაქირავებულ მომუშავესა და მშრომელ დამქირავებელს შორის (ინდივიდუალური შრომითი საგლეხო მეურნეობა, მიწამრეწველი, ხელოსანი და სხვ.) და აგრეთვე საზოგადო მწყემსსა და დამქირავებელს შორის“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. იმავე დებულების მე-3 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამა დებულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული საქმეები აუცილებლად უნდა განიხილოს სასოფლო საზოგადოებრივმა სასამართლომ, უკეთუ არსებობს შემდეგი პირობები:

ა) „ა“ ლიტერის „ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტებში ჩამოთვლილი საქმეები, უკეთუ ამ პუნქტებში გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში მოქმედება ჩადენილია ისეთ ტერიტორიაზე, რომელსაც აერთიანებს სათანადო სასოფლო საბჭო, ამ ტერიტორიაზევე მუდმივად მცხოვრებ პირთა მიერ;

ბ) იმავე ლიტერის დანარჩენ პუნქტებში ჩამოთვლილი საქმეები, უკეთუ ბრალდებული და დაზარალებული მუდმივად ცხოვრობენ ისეთ ტერიტორიაზე, რომელსაც აერთიანებს ერთი სასოფლო საბჭო;

გ) „ა“ და „გ“ ლიტერებში ჩამოთვლილი საქმეები, მოჯამაგირესა და მწყემსსა და დამქირავებელს შორის აღძრულ შრომის საქმეთა გამოკლებით, და „გ“ ლიტერაში ჩამოთვლილი საქმეები, უკეთუ მოსარჩელე და მოპასუხე მუდმივად ცხოვრობენ იმ ტერიტორიაზე, რასაც აერთიანებს ერთი სასოფლო საბჭო, ხოლო საადგილმამულო საქმეები, უკეთუ, ამასთანავე, სადავო მიწის ნაკვეთი მდებარეობს იმავე ტერიტორიაზე.

უკეთუ ზემოაღნიშნულ საქმეებში,—გარდა ამა მუხლის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული საქმეებისა,—მონაწილე მხარენი ცხოვრობენ ისეთ ტერიტორიაზე რომელსაც აერთიანებს სხვადასხვა სასოფლო საბჭო, ეს საქმეები სასოფლო საზოგადოებრივმა სასამართლომ უნდა განიხილოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც განმცხადებელი მიმართავს ამ სასამართლოს, როგორც დანაშაულობის ჩადენის ადგილის სასამართლოს (სისხლის საქმეზე) ან როგორც იმ ადგილის სასამართლოს, სადაც მოპასუხე ცხოვრობს (სამოქალაქო და შრომის საქმეზე) ან სადაც მდებარეობს სადავო მიწის ნაკვეთი (საადგილმამულო დავის საქმეზე).

მოჯამაგირესა და მწყემსსა და დამქირავებელს შორის აღძრული შრომის დავა სასოფლო საზოგადოებრივმა სასამართლომ უნდა განიხილოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ ამ სასამართლოს მიმართავს მოჯამაგირე ან მწყემსი“.

3. იმავე დებულების მე-4 მუხლს დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„**შენიშვნა:** უკეთუ მოჯამაგირესა და მწყემსა და დამქირავებელს შორის აღძრული შრომის დავის საქმეზე გამოაშკარავდება, რომ მოსარჩელეს 25 მანეთზე მეტი ერგება, ან რომ დამქირავებელი მიცემულ უნდა იქნეს პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით შრომის კანონის დარღვევისათვის, მთელი საქმე უნდა გადაეცეს სახალხო სასამართლოს“.

4. იმავე დებულების მე-5 მუხლს დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„**შენიშვნა.** განცხადება მოჯამაგირესა და მწყემსსა და დამქირავებელს შორის აღძრულ შრომის დავაზე შეიძლება შეტანილ იქნეს დამქირავებელთან მუშაობის დროს ან ექვსი თვის განმავლობაში სამუშაოსაგან დათხოვნისა თუ სამუშაოდან წასვლის შემდეგ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. იმავე დებულების მე-6 მუხლს დაემატოს მე-2 შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„**შენიშვნა 2.** შრომის საქმეებს სასამართლო გადასწყვეტს შრომის მომქმედ კანონთა თანახმად“.

6. იმავე დებულების მე-9 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„9. სასოფლო საზოგადოებრივ სასამართლოში საქმე განხილულ უნდა იქნეს არა უგვიანეს ათი დღისა საქმის მიღების დღიდან; ამასთანავე, საქმე ხულიგნობის შესახებ—არა უგვიანეს ხუთი დღისა, ხოლო შრომის საქმე—არა უგვიანეს სამი დღისა საქმის მიღების დღიდან“.

7. იმავე დებულების მე 16 მუხლს დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„**შენიშვნა.** ვინიცობაა სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოს გადაწყვეტილება მოჯამაგირესა თუ მწყემსსა და დამქირავებელს შორის აღძრულ შრომის დავაზე გაუქმებულ იქნა, ამ გადაწყვეტილების თანახმად მოჯამაგირისათვის თუ მწყემსისათვის გადახდილი ფული არ შეიძლება უკუგადახდევინებულ იქნეს, უკეთუ არ დამტკიცდა, რომ მოჯამაგირემ თუ მწყემსმა წარუდგინა სასამართლოს ყალბი დოკუმენტი ან აუწყა ტყუილი ცნობა“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ. ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. ივლისის 4.
ტფილისი.

---

166. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„ფაბრიკასა, ქარხანასა, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებასა და საწარმოში მომქმედი საწარმოო-საამხანაგო სასამართლოების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მე-5 მუხლისათვის შენიშვნის დამატებისა და მე-16 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. „ფაბრიკასა, ქარხანასა, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებასა და საწარმოში მომქმედი საწარმოო-საამხანაგო სასამართლოების შესახებ“ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აპრილის 27-ის დადგენილების მე-5 მუხლს (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-11 №-ი, მუხ. 129) დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„**შენიშვნა.** საწარმოო-საამხანაგო სასამართლო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ან მუშებისა და მოსამსახურეების მიერ აღძრულ, ამა მუხლის მეორე ნაწილში აღნიშნულ საქმეს დაუყოვნებლივ აცნობებს დაწესე-

361 ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულებისა თუ საწარმოს ადმინისტრაციას და შეუდგება ამ საქმის განხილვას იმ შემთხვევაში, უკეთუ სამი დღის განმავლობაში დღიდან შეტყობინების მიღებისა ადმინისტრაცია არ განაცხადებს, რომ იგი წინააღმდეგია საქმის საწარმოო-საამხანაგო სასამართლოში განხილვისა".

2. ზემოაღნიშნული დადგენილების მე-16 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„16. საწარმოო-საამხანაგო სასამართლოს მოქმედებას ზედამხედველობას უწევს სახალხო სასამართლო და პროკურატურა. უკეთუ სახალხო მოსამართლე, დამოუკიდებლად ან პროკურორის პროტესტის მიხედვით: ა) აღმოაჩენს საწარმოო-საამხანაგო სასამართლოში ამ სასამართლოს არაქვემდებარე საქმეს, ან ბ) შენიშნავს საწარმოო-საამხანაგო სასამართლოს დადგენილებაში მისი კომპეტენციის გადამეტებას თუ კანონის არსებითს დარღვევას, ან და გ) სცნობს, რომ, თუმცა საქმე საწარმოო-საამხანაგო სასამართლოს ექვემდებარება, მაგრამ იგი თავისი ხასიათით რთულია ან, საზოგადოებრივი მნიშვნელობის გამო, საჭიროა სამართლის დამრღვევს შეეფარდოს უფრო სასტიკი ზემოქმედების ღონისძიება, ვიდრე ეს შეიძლება ამა დადგენილების მე-13 მუხლის თანახმად, იგი, მოსამართლე, ჩამოართვეს საწარმოო-საამხანაგო სასამართლოს ამ საქმეს, შეაჩერებს მისი დადგენილების აღსრულებას და მიიღებს საქმეს თავისდა განსახილველად".

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. ივლისის 4.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 165 №-ში 1931 წ. ივლისის 19.

მთავლიტი 1362. სახკომსაბჭოს საქმეთა მმართვ. სტამბა. ტირაჟი 1100.